



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრი
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Member of Assembly

N 16016-02
28/10/2019

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული
კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ ანგარიშს.


გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

მალხაზ კომლაძე

ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA

RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული

მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **მაღხაზ კომლაძე**

საანგარიშო პერიოდი: 01.11.2018 – 01.11.2019

თანამდებობა:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი;
2. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე

კომისი(ებ)ის დასახელება:

1. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრი;
2. სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი;
3. „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ თავმჯდომარის მოადგილე.

დროებითი სამუშაო ჯგუფი:

1. „სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის“ წევრი.

❖ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა (12 რიგითი, 14 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 21 სხდომა

ბიუროს სხდომის რაოდენობა: 26 სხდომა

ბიუროს სხდომაზე დასწრება: 20 სხდომა

❖ საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:

74 დადგენილება;

162 განკარგულება

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:

ა) კომისიები:

• სოციალურ საკითხთა კომისია:

ჩატარდა - 9 სხდომა

დასწრება - 6 სხდომა

• საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია:

ჩატარდა - 18 სხდომა

დასწრება - 13 სხდომა

ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება“ :

ჩატარდა - 1 სხდომა

დასწრება - 1 სხდომა

გ) დროებითი სამუშაო ჯგუფები:

• სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა - 1 სხდომა

დასწრება - 1 სხდომა

დ) გენდერული თანასწორობის საბჭო:

ჩატარდა - 4 სხდომა

დასწრება - 1 სხდომა

❖ ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:

1. „ელექტრონული საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის“ წევრი;
 2. „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში პირუტყვის დაავადებათა კონტროლის, კატასტროფების რისკის შემცირების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიზნობრივად გამოყენების თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის“ წევრი;
 3. საპატიო წოდების მინიჭებაზე პასუხიმგებელი სამუშაო ჯგუფის წევრი;
 4. რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე კონკურსის პირობების შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრი.
-

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
 - ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;
 - გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018 – 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;
 - დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;
 - ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა
-

❖ საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტი“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს შემადგენლობაში საკრებულოს 9 დეპუტატია. ფრაქციის ყველა წევრი აქტიურად არის ჩართული ფრაქციის მუშაობაში. საკითხების განხილვის პროცესში მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები საკმაოდ მნიშვნელოვანი და სასარგებლოა საერთო საქმისთვის.

განვილილ საანგარიში პერიოდში ჩემს მიერ ჩატარებულ კომისიის 1 სხდომაზე განვიხილეთ, მოვისმინეთ და დავეგემეთ ჩვენი მიმართულებებით გასატარებელი ღონისძიებები.

ფრაქციაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განხილვისას იყო ისეთი საკითხები, რომლებმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მაგრამ ფრაქციამ ხმათა უმრავლესობით მიიღო ოპტიმალური გადაწყვეტილება, ზოგიერთ შემთხვევაში შეიტანა კორექტირება და ისე წარუდგინა საკრებულოს.

ფრაქცია უწყვეტ რეჟიმში მუშაობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ქალაქ რუსთავის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების მიმდინარეობა, კერძოდ, სოციალური და ჯანდაცვის საკითხების მიმართულება, ქალაქში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტის შემუშავება.

საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, დამონტაჟდა გარე განათება, მოეწყო სანიაღვრე არხები, განხორციელდა საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი სახლების გადახურვა.

ფრაქციის წევრებთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ინტენსიურად ვხვდები მოსახლეობას, ადგილზე ვეცნობი მოსახლეობისათვის პრობლემურ საკითხებს და ვახდენთ არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას.

ფრაქცია გეგმავს აქტიურად ჩაებას ახალი 2020 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების მუშაობაში, დაიცვას ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის

შესაბამის სამსახურთან ერთად პოზიციები, რათა უფრო მეტი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დახმარება შევძლოთ.

სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის მიზანია საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში და სპორტული მიღწევების გაუმჯობესება, აღნიშნულიდან გამომდინარე ვესწრები „სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის“ სხდომებს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ აქტიურად არის ჩართული კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში და იმ პრობლემების მოგვარებაში, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის წინაშე დგას. ვიმედოვნებ, საანგარიშო დროის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება დაგვეხმარება, მომავალში უკეთ წარვმართოთ ფრაქციის მუშაობა.